სსიპ ილია წინამძღვრიშვილის
სახელობის კოლეჯი

05/06/2025

MES 1 25 0000004-71

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 04-71**

**სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ დირექტორის 2022 წლის 21 ნოემბრის N04-224 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობის წესის“ ცვლილების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, ამავე კოდექსის 63-ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის #115/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ წესდების მე-5 მუხლის „ა“ და ,,ი'' ქვრპუნქტებისა და დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-17 მუხლისა და კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის მარიამ ჯოჯიშვილის MES 2 25 0000534549 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ დირექტორის 2022 წლის 21 ნოემბრის N04-224 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობის წესში“ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს კოლეჯის ქსელების ადმინისტრატორს კახაბერ ასათიანს „პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობის წესის“ კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება;
3. დაევალოს კოლეჯის საქმისმწარმოებელს, მარიამ ბიბილურს განახორციელოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ქ. მცხეთის რაიონულ სასამართლოში (სამხედროს ქ. №17).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ასათიანი თეიმურაზი